

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო
საბიუჯეტო კომისიის სხდომის
ოქმი №48**

21 ივლისი 2023 წ.
12:00 სთ

ქ. თბილისი. თავისუფლების მოედანი №2

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე- ირაკლი ხელაძე

კომისიის წევრები-გიორგი ტყემალაძე, ლევან დავითაშვილი, ლევან არველაძე, ლევან ჟორჟოლიანი, არჩილ გორდულაძე, ანა გოგოლაძე, საბა ბუაძე, აკაკი ალადაშვილი, მიხეილ კაკაურიძე.

მოწვეული სტუმრები:

საფინანსო საქალაქო სამსახურიდან--გაიოზ თალაკვაძე, ლევან მიქავა

სსიპ ქონების მართვის სააგენტოდან-მარიამ კვერნაძე, თამარ ბიწაძე

სხდომას თავმჯდომარეობდა ირაკლი ხელაძე.

კომისიის სხდომა უფლებამოსილია.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და **წარუდგინა დღის წესრიგი.**

1. "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N19-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების თაობაზე. **საკრ.№12-032320110-03 20/07/23**

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ.

საკრ.№15-032319538-03 14/07/23(11-01231951247); საკრ.№15-032320076-03 19/07/23(11-012332002811)

3. ქალაქ თბილისში, ნუშის ქუჩის მე-2 ჩიხი N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.17.006.009.01.510) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“

საკრ.№12-03231873-03 06/07/23

4. ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში, მე-3 მასივის მე-8 კვარტლის კორპუს N4-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.025.065.04.012) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე. **საკრ.№12-03231873-03 06/07/23**

5. ქალაქ თბილისში, ნიკოლოზ ხუდადოვის ქუჩა N173-ში, კორპუს N6-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.09.001.020.01.054) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“. **საკრ.№12-03231873-03 06/07/23**

6. ქალაქ თბილისში, ჰოსპიტლის შესახვევი N7-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.12.023.049) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე(2 ოჯახი)**საკრ.№12-03231872-03 06/07/23**

7. ქალაქ თბილისში, ჰოსპიტლის შესახვევი N7-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.12.023.049) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე (5 ოჯახი)**საკრ.№12-032319427-03 14/07/23**

8. „ ქალაქ თბილისში, ქინძმარაულის ქუჩა N49ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.33.015.015.01.010) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“

საკრ.№12-032320075-03 19/07/23

9. „ქალაქ თბილისში, ნიკოლოზ ხუდადოვის ქუჩა N173-ში, კორპუს N6-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.09.001.020) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“. **საკრ.№12-032320075-03 19/07/23**

10. ქ. თბილისში, მერაბ კოსტავას ქუჩაზე N76-ის მიმდებარედ არსებული 15 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.13.028.058) პირდაპირი განკარგვის წესით ია ჭრიკიშვილისთვის (პ/ნ: 01004000565) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე **საკრ.№12-032318618-03 05/07/23**

11. ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი N34-38-ის მიმდებარედ არსებული 1933 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.10.15.018.078) 29 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ვაჟა-ფშაველას N34-ისთვის“ (ს/ნ: 405541962) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შეთანხმების თაობაზე **საკრ.№12-032320097-03 20/07/23**

12. ქ. თბილისში, რუსთავის გზატკეცილი N199-ის მიმდებარედ არსებული 16 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.12.006.089) პირდაპირი განკარგვის წესით ი/მ ქსენია ჯელაძისთვის (პ/ნ: 57001013643) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე **საკრ.№12-032320074-03 19/07/23**

13. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, განსაზღვრული მოძრავი ქონების საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ: 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე. **საკრ.№12-03231872-03 06/07/23**

14. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და ომარ ლომსაძეს (პ/ნ 01006005032) შორის 2022 წლის 02 ნოემბერს გაფორმებული №-679-24-28290 და №-679-25-28291 პირობებით გამოცხადებული აუქციონის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პირობების გაუქმების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

საკრ.№12-03232001-03 19/07/23

15. ქალაქ თბილისში, გლდანის III მიკრო რაიონის მიმდებარედ N01.11.12.006.301 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 16 056 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთის, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამომხატვაში გამარჯვებული პირის - შპს „არტე დეველოპმენტისთვის“ (ს/ნ: 404606690), კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ“ **საკრ.№12-032319574-03 17/07/23**

16. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლებსა და შპს „ენსი გრუპს“ (ს/კ: 405186365) შორის 2021 წლის 15 ივლისს გაფორმებული „ქ. თბილისში, დიდი დიდმის დასახლების მიმდებარედ არსებული, ჯამურად 8118 კვ.მ ფართობის, N01.10.06.002.064 და N01.10.06.002.065 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების (წინა საკადასტრო კოდი: ს/კ: N01.10.06.002.046) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანისა და ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დაკისრებისაგან შპს „ენსი გრუპის“ (ს/კ: 405186365) გათავისუფლების თაობაზე. **საკრ.№12-0323219912-03 19/07/23**

17. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლებსა და შპს „მს ბილდერს“ (ს/ნ: 405427765) შორის 2022 წლის 31 მარტს გაფორმებული „ქ. თბილისში, ვაზისუბნის დასახლება, კვაჭანტირაძის ქუჩის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.17.10.001.186 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 2371 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულების საფუძველზე დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან შპს „მს ბილდერის“ (ს/ნ: 405427765) გათავისუფლების თაობაზე. **საკრ.№12-032320073-03 19/07/23**

18. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს მიერ პირობებით გამოცხადებული აუქციონის შედეგად 2018 წლის 18 ოქტომბერს გაფორმებული №ე-428-3-22738 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის გაუქმების საკითხის შეთანხმების თაობაზე. **საკრ.№12-032320078-03 19/07/23**

დღის წესრიგი დამტკიცდა.

მოისმინეს: "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N19-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების თაობაზე

მომხსენებელი - გაიოზ თალაკვაძე.

ირაკლი ხელაძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ბიუჯეტის ცვლილებების პროექტში არის მნიშვნელოვანი სიახლე მათთვის ვინც ენდოპროთუზირებას საჭიროებს, რაც საკმაოდ დიდ ხარჯებს უკავშირდება.

სექტემბერიდან თბილისის მერია დედაქალაქში რეგისტრირებული მოქალაქეების სახსრების ენდოპროთუზირების პროგრამას იწყებს, რაც მუხლისა და მენჯ-ბარძაყის ხელოვნური ანალოგის შეცვლის ოპერაციის დაფინანსებას გულისხმობს. დაფინანსება მოხდება ვაუჩერული სისტემით და შესაბამისად ბენეფიციარებს სამედიცინო დაწესებულებების შერჩევაში თავისუფალი არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა ექნებათ.

გაიოზ თალაკვაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება მიმდინარე წელს მოსალოდნელი პროგნოზების გათვალისწინებით, იზრდება სხვა შემოსავლების ნაწილში სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) მისაღები შემოსავლები 20 552,2 ათასი ლარის ოდენობით. შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა იზრდება 20 552,2 ათასი ლარით და შეადგენს 1 823 624,5 ათას ლარს.

ასევე, წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზოგიერთი საქალაქო სამსახურის და რაიონის გამგეობის დამატებითი მოთხოვნების და გადანაწილების შესახებ წინადადებები. აღნიშნულის გათვალისწინებით ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე, მათ შორის:

იზრდება გზების მშენებლობა და აღდგენა (კოდი 01 01 01) ქვეპროგრამის ასიგნებები – 1 800,0 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება გლდანის რაიონში (კოდი 01 01 08) - 100,0 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება დიდუბის რაიონში (კოდი 01 01 10) - 200,0 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება კრწანისის რაიონში (კოდი 01 01 16) - 300,0 ათასი ლარით, ღონისძიებების უზრუნველყოფა (კოდი 02 07) პროგრამის ასიგნებები - 4 000,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში (კოდი 02 09 11) ქვეპროგრამის ასიგნებები - 300,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები დიდუბის რაიონში (კოდი 02 09 12) - 450,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 02 09 13) - 400,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები სამგორის რაიონში (კოდი 02 09 17) - 700,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები კრწანისის რაიონში (კოდი 02 09 18) - 100,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში (კოდი 02 09 19) - 500,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების

ხელშეწყობა გლდანის რაიონში (კოდი 05 01 08) - 200,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ვაკის რაიონში (კოდი 05 01 12) - 400,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა საბურთალოს რაიონში (კოდი 05 01 13) - 400,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ისნის რაიონში (კოდი 05 01 14) - 300,0 ათასი ლარით, აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაცია (კოდი 06 01 06) - 1 300,0 ათასი ლარით, შუზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა და მოზარდთა საკურორტო მომსახურება (კოდი 06 02 04) - 402,6 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარებების) ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 06 02 18 10) - 131,5 ათასი ლარით, სოციალურად დაუცველი 18 წლამდე შუზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარება (კოდი 06 02 22) - 349,6 ათასი ლარით, მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების ხელშეწყობა (კოდი 07 03 03) - 450,0 ათასი ლარით, პროფესიული განათლებისა და დასაქმების ხელშეწყობა (კოდი 07 04) პროგრამის ასიგნებები - 500,0 ათასი ლარით, სტუდენტთა დაფინანსების პროგრამა (კოდი 07 05 03) ქვეპროგრამის ასიგნებები - 300,0 ათასი ლარით, კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა (კოდი 08 05) პროგრამის ასიგნებები - 2 000,0 ათასი ლარით, სპორტული ღონისძიებები (კოდი 08 06 01) ქვეპროგრამის ასიგნებები - 1 700,0 ათასი ლარით, სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობა (კოდი 08 06 04) - 1 500,0 ათასი ლარით, ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა (კოდი 08 08 01) - 500,0 ათასი ლარით, კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები საბურთალოს რაიონში (კოდი 08 11 06) - 30,0 ათასი ლარით, ინკლუზიური ხელოვნებისა და განათლების ხელშეწყობა (კოდი 08 13) პროგრამის ასიგნებები - 50,0 ათასი ლარით, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი (კოდი 10 26) - 1 000,0 ათასი ლარით, გლდანის რაიონის გამგეობა (კოდი 10 27) - 64.8 ათასი ლარით.

მცირდება კეთილმოწყობის ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი 02 09 10) ქვეპროგრამის ასიგნებები - 64.8 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა დიდუბის რაიონში (კოდი 05 01 10) - 150,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ჩუღურეთის რაიონში (კოდი 05 01 11) - 124,0 ათასი ლარით, ომის ვეტერანების დახმარება ჩუღურეთის რაიონში (კოდი 06 02 17 10) - 7,5 ათასი ლარით, საბურთალოს რაიონის გამგეობა (კოდი 10 32) - 30,0 ათასი ლარით. ამასთან, ბიუჯეტში ემატება ახალი ქვეპროგრამა - სახსრების ენდოპროტეზირების დაფინანსება (კოდი 06 01 04) - 500,0 ათასი ლარით.

მომხრე- 7 თავი შეიკავა-ანა გოგოლაძემ მიხეილ კაკაურიძემ.საბა ბუაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და უმრავლესობით გადაწყვიტეს მიეცეს რეკომენდაცია "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N19-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ.

მომხსენებელი - ლევან მიქავა

ლევან მიქავას მოხსენებით, ა(ა)იპ მუზეუმების გართიანებას, ბარათაშვილის სახლ-მუზეუმში მწყობრიდან გამოსული ექპოზიციის პროექტორების ნაცვლად, ესაჭიროება 2 ერთეული პროექტორის შსაძენად 5000 ლარი და ითხოვს პროგრამაში „მუზეუმების გაერთიანების ხელშეწყობა“ (პროგ/კოდი 08 08 12) მესამე კვარტალში 5 000 ლარის დამატებას, რასაც აბალანსებს პროგრამაში „სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა“ (პროგ/კოდი: 08 02) მესამე კვარტალში არსებული ეკონომიით.

გარდა ამისა იზრდება „წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების არშრულების ფონდი“ს (პროგ/კოდი 10 26) მესამე კვარტლის გეგმა 500 000 ლარით, თანხის გადმოტანა ხდება მეოთხე კვარტლიდან. აღნიშნული ცვლილება გამოწვეულია სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით (საკონსულტაციო ფირმა „სპექტრუმ კონსალტინგის“ კომპენსაციისთვის)

მომხრე- 7 თავი შეიკავა-ანა გოგოლაძემ მიხეილ კაკაურიძემ.საბა ბუაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილებით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ“, სადაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა და საფინანსო საქალაქო სამსახური ითხოვს მათზე მიკუთვნებულ პროგრამა/ქვეპროგრამებში ასიგნებების ცვლილებას, ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა უმრავლესობით გადაწყვიტეს:

“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის 30 დეკემბრის #20-85 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად მიეცეს თანხმობა საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილების დანართების შესაბამისად პროგრამა/ქვეპროგრამების ასიგნებების გადანაწილების ცვლილებას.

დღის წესრიგით წარმოდგენილი მომდევნო საკითხები კომისიის წევრებს წარუდგინა მარიამ კვერნაძემ.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ნუშის ქუჩის მე-2 ჩიხი N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.17.006.009.01.510) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“

მარიამ კვერნაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, ნუშის ქუჩის მე-2 ჩიხი N2-ში, მეორე სართულზე არსებული 97.80 კვ.მ ფართი (საკადასტრო კოდი: N01.11.17.006.009.01.510), პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე გოგიტა კუხალიძვილს (პ/ნ 51001005803) , რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით. მსს-ს ცნობით დგინდება, რომ გოგიტა კუხალიძვილი 10 წელია ცხოვრობს მითითებულ მისამართზე ;ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით დასტურდება, რომ მოქალაქე მითითებულ მისამართზე ცხოვრობს 2010 წლიდან;

მომხრე- 8 თავი შეიკავა-ანა გოგოლაძემ. საბა ბუაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და უმრავლესობით გადაწყვიტეს მიეცეს რეკომენდაცია საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში, მე-3 მასივის მე-8 კვარტლის კორპუს N4-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.025.065.04.012) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე

მარიამ კვერნაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში, მე-3 მასივში, მე-8 კვარტალში, კორპუს N4-ში, მეოთხე სართულზე არსებული 56.17 კვ.მ ფართის ბინა N12-ი (საკადასტრო კოდი: N01.19.20.025.065.04.012) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე ნუნუ მჭედლიძვილს (პ/ნ 01027037835) , რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.

მსს-ს ცნობით და ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით დასტურდება, რომ ნუნუ მჭედლიძვილი ოჯახთან ერთად მითითებულ მისამართზე ცხოვრობს დაახლოებით 27-28 წელია.

მომხრე- 8 თავი შეიკავა-ანა გოგოლაძემ. საბა ბუაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და უმრავლესობით გადაწყვიტეს მიეცეს რეკომენდაცია საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ნიკოლოზ ხუდადოვის ქუჩა N173-ში, კორპუს N6-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.09.001.020.01.054) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“

მარიამ კვერნაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, ნიკოლოზ ხუდადოვის ქუჩა N173-ში, კორპუს N6-ში, მეხუთე სართულზე არსებული 65.17 კვ.მ ფართის ბინა N54-ი (საკადასტრო კოდი: N01.16.09.001.020.01.054) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე ეკატერინე გულუას (პ/ნ 51001014384) შსს-ს ცნობით ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით დგინდება, რომ ეკატერინე გულუა ოჯახთან ერთად დაახლოებით 21 წელია ცხოვრობს მითითებულ მისამართზე.

მომხრე- 8 თავი შეიკავა-ანა გოგოლაძემ. საბა ბუაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და უმრავლესობით გადაწყვიტეს მიეცეს რეკომენდაცია საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ჰოსპიტლის შესახვევი N7-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.12.023.049) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

მარიამ კვერნაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, ჰოსპიტლის შესახვევი N7-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.12.023.049) მდებარე უძრავი ქონება, საერთო ჯამში - 92.52 კვ.მ ფართობის უძრავი ქონება. პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით,, საკუთრებაში გადაეცემა 2 პირს(ოჯახს) . ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობენ და სარგებლობენ აღნიშნული უძრავი ქონებით.

შსს-ს ცნობით და მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული ცნობით დასტურდება, რომ მოქალაქეები 2015 წლიდან ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე.

საკითხთან დაკავშირებით ანა გოგოლაძემ იკითხა, თუ რატომ ვუკანონებთ იმ მოქალაქეებს საცხოვრებელ ფართებს, რომელთაც 2015 წლიდან აქვთ დაკავებული აღნიშნული ფართები, რაზედაც ლევან ჟორჟოლიანმა განმარტა, რომ ეს მოქალაქეები არიან შეჭირვებული, რომელთაც სხვა ალტერნატიული საცხოვრებელი ფართი არ გააჩნიათ. ამავე დროს გამოხატავდნენ პროტესტს, ადგილი ქონდა გზის გადაკეტვას და საქმის გარემოებების შესწავლის შედეგად კონკრეტული შემთხვევაზე მიღებულია ეს გადაწყვეტილება.

მომხრე- 8 თავი შეიკავა-ანა გოგოლაძემ. საბა ბუაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და უმრავლესობით გადაწყვიტეს მიეცეს რეკომენდაცია საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ჰოსპიტლის შესახვევი N7-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.12.023.049) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

მარიამ კვერნაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, ჰოსპიტლის შესახვევი N7-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.12.023.049) მდებარე უძრავი უძრავი ქონება პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა 5 პირს (ოჯახს). ნატო კენჭოშვილი (პ/ნ: 54001058286), გოდერძი ფირცხელავა (პ/ნ: 01911107974), ლია ბარბაქაძე (პ/ნ: 28001036086), თეა სეფიაშვილი (პ/ნ: 13001050603), ლაშა ღავთაძე (პ/ნ: 18001066710). მოქალაქეები ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობენ და სარგებლობენ აღნიშნული უძრავი ქონებით. მითითებულ მოქალაქეებს საერთო ჯამში გადაეცემათ - 126 კვ.მ ფართობის უძრავი ქონება.

მომხრე- 8 თავი შეიკავა-ანა გოგოლაძემ. საბა ბუაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და უმრავლესობით გადაწყვიტეს მიეცეს რეკომენდაცია საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: „ ქალაქ თბილისში, ქინძმარაულის ქუჩა N49ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.33.015.015.01.010) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“

მარიამ კვერნაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, ქინძმარაულის ქუჩა N49ა-ში, პირველ სართულზე არსებული 18.71 კვ.მ ფართის ბინა N10-ი (საკადასტრო კოდი: N01.19.33.015.015.01.010) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე ანაპიტ აღვანიანს (პ/ნ 01027066773) შსს-ს ცნობით დგინდება, რომ ანაპიტ აღვანიანი ოჯახთან ერთად დაახლოებით 30 წელია ცხოვრობს მითითებულ მისამართზე, ხოლო ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით დასტურდება, რომ ანაპიტ აღვანიანი ოჯახთან ერთად მითითებულ მისამართზე ცხოვრობს 1991 წლიდან.

მომხრე- 8 თავი შეიკავა-ანა გოგოლაძემ. საბა ბუაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და უმრავლესობით გადაწყვიტეს მიეცეს რეკომენდაცია საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, ნიკოლოზ ხუდადოვის ქუჩა N173-ში, კორპუს N6-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.09.001.020) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“

მარიამ კვერნაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, ნიკოლოზ ხუდადოვის ქუჩა N173-ში, კორპუს N6-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.09.001.020) არსებული უძრავი ქონებიდან განსაზღვრული ფართები (საერთო ჯამში 259.03 კვ.მ ფართი) საკუთრებაში გადაეცემა 4 პირს(ოჯახს) რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობენ და სარგებლობენ აღნიშნული უძრავი ქონებით. წარმოდგენილი პროექტის თანახმად, ფართები გადაეცემათ ზიზი წივილაშვილს (პ/ნ 23001008765) დაკავებული ფართი - 66.25 კვ.მ; ლევან არველაძეს (პ/ნ 01019050525) დაკავებული ფართი - 45.23 კვ.მ; ფატიმა არქანიას (პ/ნ 51001003041) დაკავებული ფართი - 56.82 კვ.მ; ნინო ხუნწარიას (პ/ნ 19001094885) დაკავებული ფართი - ნახევარსარდაფი 90.73 კვ.მ. შსს-ს ცნობებით და ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით მოქალაქეები დაახლოებით 18 წელია ცხოვრობენ აღნიშნულ ფართში.

მომხრე- 8 თავი შეიკავა-ანა გოგოლაძემ. საბა ბუაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და უმრავლესობით გადაწყვიტეს მიეცეს რეკომენდაცია საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქ. თბილისში, მერაბ კოსტავას ქუჩაზე N76-ის მიმდებარედ არსებული 15 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.13.028.058) პირდაპირი განკარგვის წესით ია ქრიკიშვილისთვის (პ/ნ: 01004000565) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

მარიამ კვერნაძის მოხსენებით, ია ქრიკიშვილს (ს/ნ: 01004000565) სარგებლობაში, იჯარით გადაეცემაქ. თბილისში, მერაბ კოსტავას ქ. N76-ის მიმდებარედ არსებული 15 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: N01.10.13.028.058), ღია კაფეს მოსაწყობად, 5 წლით. აღნიშნული პირი თანასაკუთრების უფლებით ფლობს ქ. თბილისში, კოსტავას ქ. N76-ში მდებარე უძრავ ქონებას (საკადასტრო კოდი: N01.10.13.028.003.01.503).

მოთხოვნილ ტერიტორიაზე ღია კაფეს მოწყობასთან დაკავშირებით, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა შესაძლებლად მიიჩნია მოთხოვნილი 15 კვ.მ. მიწის ნაკვეთის იჯარით გაცემა და ღია კაფეს მოწყობა.

დაინტერესებაში არსებული 15 კვ.მ. მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირაა 3600 ლარი.

წარმოდგენილი განკარგულების პროექტით განიხილება მოთხოვნილი 15 კვ.მ. მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემის საკითხი, 5 წლით.

მომხრე- 9 თავი შეიკავა-ანა გოგოლაძემ.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და უმრავლესობით გადაწყვიტეს მიეცეს რეკომენდაცია საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი N34-38-ის მიმდებარედ არსებული 1933 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.10.15.018.078) 29 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ვაჟა-ფშაველას N34-ისთვის“ (ს/ნ: 405541962) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შეთანხმების თაობაზე

მარიამ კვინაძის მოხსენებით, ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი N34-38-ის მიმდებარედ არსებული 1933 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.10.15.018.078) 38 კვ.მ მიწის ნაკვეთი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემა, შპს „ვაჟა-ფშაველას N34-ს“ (ს/ნ: 405541962) ღია კაფეს მოწყობის მიზნით წარმოდგენილი საჯარო რეესტრიდან ამონაწერების მიხედვით, აღნიშნული კომპანიის საკუთრებაშია ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი N34-ში არსებული N01.10.15.018.002.01.531, N01.10.15.018.002.01.547 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული უძრავი ქონება. განცხადებით მოთხოვნილი 38 კვ.მ მიწის ნაკვეთი კვეთდა კერძო საკუთრებაში მოთხოვნილ უძრავ ქონებას, შესაბამისად საიჯარო ფართის კვატრატულობა განსაზღვრა 29 კვ.მ-ით.

სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნით, დაინტერესებაში არსებული ტერიტორიის წლიური საბაზრო საიჯარო ქირის ოდენობა, 2023 წლის 6 ივლისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 6 960 ლარით.

წარმოდგენილი პროექტით, განიხილება შპს „ვაჟა-ფშაველას N34-ისთვის“ (ს/ნ: 405541962) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, უძრავი ქონების: ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი N34-38-ის მიმდებარედ არსებული 1933 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან ამ განკარგულების დანართი 1-ით წარმოდგენილი სიტუაციური ნახაზზე მონიშნული 29 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: N01.10.15.018.078) 5 (ხუთი) წლის ვადით, გადაცემის საკითხი. წლიური საიჯარო ქირის ოდენობა განისაზღვრება 6 960 (ექვსი ათას ცხრაას სამოცი) ლარით.

მომხრე- 9 თავი შეიკავა-ანა გოგოლაძემ.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და უმრავლესობით გადაწყვიტეს მიეცეს რეკომენდაცია საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქ. თბილისში, რუსთავის გზატკეცილი N199-ის მიმდებარედ არსებული 16 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.12.006.089) პირდაპირი განკარგვის წესით ი/მ ქსენია ჯელაძისთვის (პ/ნ: 57001013643) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

მარიამ კვინაძის მოხსენებით, ი/მ ქსენია ჯელაძემ (ს/ნ: 01004000565) ითხოვა ქ. თბილისში, რუსთავის გზატკეცილი N199-ის მიმდებარედ არსებული 16 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.12.006.089) იჯარით გადაცემა, ღია კაფეს განსათავსებლად, 2026 წლის 16 აგვისტომდე. აღნიშნული პირი, ინდ. მეწარმის სახით, იჯარით ფლობს ქ. თბილისში, რუსთავის გზატკეცილი N199-ში არსებულ ფართებს (საკადასტრო კოდები: 01.18.12.006.066.01.500; 01.18.12.006.066.01.501), აღნიშნული ვადით.

მოთხოვნილ ტერიტორიაზე ღია კაფეს მოწყობასთან დაკავშირებით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს მიერ პოზიცია ეთხოვა სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს. აღნიშნულმა სამსახურმა, შესაძლებლად მიიჩნია მოთხოვნილი 16 კვ.მ. მიწის ნაკვეთის იჯარით გაცემა, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, დაინტერესებაში არსებული 16 კვ.მ. მიწის ნაკვეთის წლიური საიჯარო ქირაა 1920 ლარი. იჯარის მოქმედების ვადა 2026 წლის 16 აგვისტომდე პერიოდში.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, განსაზღვრული მოძრავი ქონების საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ: 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

მარიამ კვერნაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას წერილით მიმართა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მდივანმა, დეკანოზმა მიქაელ ბოტკოველმა და ითხოვა, ქ. თბილისში, მახათას მთაზე მდებარე წმინდა ათანასე ათონელის სახელობის მამათა მონასტრის შემოსაღობად, მეორადი, დემონტირებული მასალების გადაცემა. საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოს წარედგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის გამგეობის წერილები, რომლებიც შეეხება მოძრავი ქონების (მეორადი მასალა) საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ: 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, პრივატიზებას.

სააგენტოში წარმოდგენილ იქნა შპს „ექსპერტ-აუდიტის“ (ს/ნ 406109465) დასკვნა, რომლის მიხედვითაც გადასაცემი მოძრავი ქონების საბაზრო ღირებულება შეადგენს 10 020 ლარს.

მომხრე- 8 თავი შეიკავა-ანა გოგოლაძემ და მიხეილ კაკაურიძემ.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და უმრავლესობით გადაწყვიტეს მიეცეს რეკომენდაცია საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და ომარ ლომსაძეს (პ/ნ 01006005032) შორის 2022 წლის 02 ნოემბერს გაფორმებული №-679-24-28290 და №-679-25-28291 პირობებით გამოცხადებული აუქციონის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პირობების გაუქმების საკითხის შეთანხმების თაობაზე

მარიამ კვერნაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და ომარ ლომსაძეს (პ/ნ 01006005032) შორის 2022 წლის 02 ნოემბერს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის ხელშეკრულებით, მყიდველს აუქციონის წესით, საკუთრებაში გადაეცა ქ. თბილისში, ლუბლიანას ქუჩაზე, ტრავმატოლოგიური საავადმყოფოს მიმდებარედ, 622.00 კვ.მ მიწის ნაკვეთი (ს/კ №01.13.01.015.132) და ქ. თბილისში, ნოდარ ბოხუას შესახვევი №12-ის მიმდებარედ 406.00 კვ.მ მიწის ნაკვეთი (ს/კ №01.13.01.015.119). ორივე მიწის ნაკვეთის გადაცემა მოხდა შემდეგი პირობით - „მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარება განხორციელდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის (გრგ) დამუშავების პირობით მიმდებარე არეალთან ერთად“. მოქალაქე ითხოვს მიწის ნაკვეთებზე არსებული პირობების გაუქმებას.

სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ შესაძლებლად მიიჩნია №01.13.01.015.132 და №01.13.01.015.119 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე არსებული პირობების გაუქმება, მომიჯნავე მიწის ნაკვეთებთან გაერთიანების პირობით, რაზეც მესაკუთრე ტანხმობას აცხადებს.

ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს წერილის თანახმად, მიწის ნაკვეთების აუქციონის წესით განკარგვისას, ქონების მთლიანი საბაზრო ღირებულების/საწყის საპრივატიზებო საფასურში არ იყო გათვალისწინებული პირობა - „მიწის ნაკვეთის სამშენებლო განაშენიანება განხორციელდეს რეგულირების გეგმის (გრგ) დამუშავების პირობით“.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და ომარ ლომსაძეს (პ/ნ 01006005032) შორის 2022 წლის 02 ნოემბერს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პირობების - „მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარება განხორციელდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის (გრგ) დამუშავების პირობით“ - გაუქმება.

საკითხთან დაკავშირებით საბა ბუაძემ აღნიშნა: პირობით გამოცხადებული აუქციონის პირობების მოხსნა, როდესაც საკითხი ეხება ურბანულ თემებს, კარგი იქნება თუ მსგავსი საკითხების განხილვა მოხდება ურბანული კომისიის სხდომებზე.

მომხრე- 8 თავი შეიკავა-ანა გოგოლაძემ და მიხეილ კაკაურიძემ.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და უმრავლესობით გადაწყვიტეს მიეცეს რეკომენდაცია საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, გლდანის III მიკრო რაიონის მიმდებარედ N01.11.12.006.301 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 16 056 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთის, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის - შპს „არტე დეველოპმენტისთვის“ (ს/ნ: 404606690), კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ“

მარიამ კვერნაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალური ვებ-გვერდის საშუალებით 2023 წლის 17 თებერვლიდან 2023 წლის 17 მარტის ჩათვლით გამოცხადდა ინტერესთა გამოხატვა, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის მიერ ქ. თბილისში, გლდანის III მიკრო რაიონის მიმდებარედ N01.11.12.006.301 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 16 056 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთის პრივატიზება, მასზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობების მშენებლობა და აშენებულ შენობა-ნაგებობაში განსაზღვრული ოდენობის ფართის (თეთრი კარკასის მდგომარეობით) კოოპერატივის წევრებისათვის საკუთრებაში გადაცემა, მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო სამინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე უარის თქმის სანაცვლოდ. ინტერესთა გამოხატვის პირობების თანახმად, მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი (კ2) განისაზღვრა არაუმეტეს 3.2-ით, ხოლო ინტერესთა გამოხატვაში მონაწილე სუბიექტების მიერ გადასაცემი ფართის მინიმალური შეთავაზება - 5200 კვ.მ-თ.

სააგენტოს 2023 წლის 23 მარტის №61-01230822811 წერილის საფუძველზე, ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებულად გამოცხადდა შპს "არტე დეველოპმენტი" (ს/ნ: 404606690), რომელმაც ინტერესთა გამოხატვის ფარგლებში განსახორციელებელი სამშენებლო პროექტიდან სააგენტოსთვის / კოოპერატივის წევრებისთვის / სააგენტოს მიერ განსაზღვრული სხვა პირობებისთვის უნდა გადასცეს სამშენებლო ფართი - 8800 კვ. მ ოდენობით (თეთრი კარკასის მდგომარეობით)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ განკარგულების დანართებში მითითებული კოოპერატივის წევრების სიის ფორმირება განხორციელდა სარეიტინგო ქულების გათვალისწინებით. კერძოდ, წარმოდგენილი პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია სხვადასხვა კოოპერატივის იმ წევრების დაკმაყოფილება (115 პირი), რომელთაც, სიის ფორმირების ეტაპისათვის სააგენტოში წარდგენილი ჰქონდათ სრულყოფილი დოკუმენტაცია და სხვებთან შედარებით დაბალი სარეიტინგო ქულის დამადასტურებელი დოკუმენტი.

ამ განკარგულების დანართებით გათვალისწინებულ პირთათვის გადასაცემი საცხოვრებელი ფართის (თეთრი კარკასის მდგომარეობით) ოდენობა განსაზღვრულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ, თითოეულ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივზე კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობის შედეგად წარმოქმნილი დავალიანების მდგომარეობის შესწავლისას შედგენილი აქტების საფუძველზე, ხოლო მათთვის გადასაცემი მიწის ნაკვეთის ფართობი განსაზღვრულია გადასაცემი საცხოვრებელი ფართების პროპორციულად.

მარიამ კვერნაძემ აღნიშნა, რომ განკარგულების დანართებით გათვალისწინებულმა კოოპერატივის წევრებმა სააგენტოში წარდგენილი განცხადებების საფუძველზე, დაადასტურეს, რომ თანახმანი არიან, მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო სამინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე მათი მხრიდან უარის თქმის სანაცვლოდ, საკუთრებაში მიიღონ ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთიდან ამ განკარგულების დანართი N1-ით გათვალისწინებული შესაბამისი წილი, მოგვიანებით კომპანიის მიერ მიწის ნაკვეთზე განვითარებულ სამშენებლო პროექტში კონკრეტული ფართის

უძრავი ქონების (საცხოვრებელი ბინა თეთრი კარკასის მდგომარეობით) მათთვის გადაცემის შესაძლებლობის გათვალისწინებით.

განკარგულების დანართი 1-ით განსაზღვრულ პირთა სიის ფორმირება განხორციელდა ე.წ სარეიტინგო ქულის პრინციპის გათვალისწინებით, ასევე დანართში მითითებულია N633 კოოპერატივის წევრი ნანა როყვა (პ/ნ 01015018308), რომელთან დაკავშირებითაც უნდა განიმარტოს შემდეგი:

ნანა როყვას მიერ მისაღები ბინის ფართობია 68 კვ.მ. მითითებულ მოქალაქეს, სააგენტომ 2021 წლის 27 მაისის 61-01211473957 წერილით შესთავაზა, ქ. თბილისში, არჩილ მეფის ქ. N13-15-ის მიმდებარედ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.10.08.006.230 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული, 10 755 კვ. მეტრი ფართობის მიწის ნაკვეთიდან (მიწის ნაკვეთის წინა საკადასტრო კოდები: N01.10.08.006.095; N01.10.07.007.111) მისთვის 51.954 კვ.მ. მიწის ნაკვეთის თანასაკუთრებაში გადაცემა, შემდგომში, ამავე მიწის ნაკვეთზე გამოცხადებულ ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული კომპანიის მიერ განსახორციელებელი სამშენებლო პროექტიდან 29.467 კვ.მ. ფართის (თეთრი კარკასის მდგომარეობით) საკუთრებაში გადმოცემის პირობის გათვალისწინებით (საპაიო შენატანის გადახდის პროპორციული ფართობით), რაზეც მითითებულმა მოქალაქემ განაცხადა უარი. შესაბამისად, აღნიშნულ პროექტში ეს პიროვნება არ იქნა გათვალისწინებული.

მომხსენებლის განმარტებით, სააგენტომ 2023 წლის პირველი მაისის N61-01231213519 წერილით, ნანა როყვას, შესთავაზა მოცემულ პროექტში მონაწილეობის მიღება და განუსაზღვრა 10 დღიანი კალენდარული ვადა სააგენტოში წარმოსადგენი დოკუმენტის, ნოტარიულად დამოწმებული წესით, ხელმოწერილი ე.წ „თანხმობის“ შემოსატანად, რის თაობაზეც მითითებულმა მოქალაქემ განაცხადა თანხმობა და წარმოადგინა ზემოაღნიშნული თანხმობა შემდეგზე: ქ. თბილისში, გლდანის III მკ.რ-ის მიმდებარედ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.11.12.006.301 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 16056 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთიდან (მიწის ნაკვეთის წინა საკადასტრო კოდი: N01.11.12.006.301), მისთვის 53.76 კვ.მ. მიწის ნაკვეთის თანასაკუთრებაში გადმოცემა, შემდგომში, ამავე მიწის ნაკვეთზე გამოცხადებულ ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული კომპანიის მიერ განსახორციელებელი სამშენებლო პროექტიდან 29.467 კვ.მ. ფართის (თეთრი კარკასის მდგომარეობით) საკუთრებაში გადმოცემის პირობის გათვალისწინებით, მის მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე თქვენი მხრიდან უარის თქმის სანაცვლოდ.

წარმოდგენილი განკარგულების დანართი N1-ის მე-2, მე-9, მე-14 და 81-ე პუნქტებით გათვალისწინებული N629 კოოპერატივის წევრებს: რუსუდან ბიჭვინაშვილს (პ.ნ: 01023008601), როლანდი მუხიგულაშვილს (პ.ნ: 01019008150), გივი გოგოლაძეს (პ/ნ: 01010012837) და ლალი ტაბატაძეს (პ/ნ 01000016445), კოოპერატიული ბინათმშენებლობიდან გამომდინარე, საკუთრებაში აქვთ მიღებული უძრავი ქონება, მათ მიერ სააგენტოში წარმოდგენილი იქნა ნოტარიულად დამოწმებული თანხმობა, რომლითაც, აღნიშნული პირები, ქ. თბილისში, გლდანის III მიკრო რაიონის მიმდებარედ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.11.12.006.301 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 16 056 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან განსაზღვრული წილის საკუთრებაში მიღების სანაცვლოდ, მოგვიანებით, კომპანიის მიერ, ამავე მიწის ნაკვეთზე განვითარებულ სამშენებლო პროექტში შესაბამისი ფართის (საცხოვრებელი ბინა თეთრი კარკასის მდგომარეობით) მათთვის გადაცემის შესაძლებლობის გათვალისწინებით, უარს ამბობენ ქ. თბილისში, გურამიშვილის გამზ. N70-ის მიმდებარედ, კორპ. N2, კორპ. N3 (ყოფილი ავჭალის გზატკეცილი N64), N01.12.01.005.137 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 3054 კვ. მ მიწის ნაკვეთიდან (შენობა-ნაგებობიდან) მათ კუთვნილ წილზე და აღნიშნულ ქონებას კანონმდებლობით დადგენილი წესით, უსასყიდლოდ საკუთრებაში გადასცემენ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს.

საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვა ანა გოგოლაძემ.

მისი თქმით, N01.11.12.006.301 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 16 056 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთი არის მდინარე ხევძმრის ხეობის ჯერაც გამწვანებული ნაწილი, გასასხვისებელ ტერიტორიაში შედის მდინარის წყალდაცვითი ზოლი. ჩვენ გავეცანით გავროს განვითარების პროგრამის და სენის 2020 წლის კვლევებს, სადაც საუბარია წყალმოვარდნების კატასტროფულ საფრთხეებზე თბილისის ტერიტორიაზე და შესწავლილია აღნიშნული მდინარის - ხევძმარის მომატებული რისკიანობა და თუ გაგრძელდება ამ ტერიტორიის მიმდებარედ გამწვანებული ტერიტორიების

ჩეხვა და ინტენსიური მშენებლობები, კოლექტორში, რომელშიც მოთავსებულია მდინარე არის დაზიანებული და ვერ გაატარებს მომატებულ წყალს, ამიტომ არის დიდი რისკის შემცველი. გარდა ამისა ადგილობრივ მოსახლეობაში განიხილება ამ ტერიტორიაზე მდინარის გახსნის შესაძლებლობა და ხეობის კეთილმოწყობა განწვანების და დასვენების დიდ სივრცედ, რაც ასევე იყო გენ-გეგმის სულისკვეთება.

მან აღნიშნა, რომ არაფერი აქვთ ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლებების, ათეულობით წლების განმავლობაში დაზარალებული ხალხის დაკმაყოფილების საწინააღმდეგო, პირიქით. დაუშვებელია, ხალხისთვის ისევ დაზარალების რისკების შექმნა, მდინარის ხეობაში კორპუსების ჩადგმა არ შეიძლება იყოს როგორც ეკოლოგიურად ისე უსაფრთხოების თვალსაზრისით გამართლებული. მდინარის ხეობის გასხვისების საკითხი მოითხოვს სიღმისეულ შესწავლას, მოსახლეობის და ექსპერტების ფართო ჩართულობას, დეტალურ ანალიზს. არ შეიძლება, დასახლებულ ტერიტორიაზე არსებული მდინარის ხეობის გასხვისების საკითხის განხილვა უფრო ნაკლებ დროს საჭიროებდეს, ვიდრე თუნდაც ქუჩის სახელდება.

ანა გოგოლაძემ მიმართა კომისიის წევრებს, რომ საკრებულოს უახლოეს სხდომაზე არ გაიტანონ NO1.11.12.006.301 საკადასტრო ერთეულის გასხვისების საკითხი და აღნიშნა, რომ სანამ საკრებულო, ხეობის გასხვისებას გადაწყვეტს, აუცილებელია ეს საკითხი მანამდე ადგილობრივ მოსახლეობასა და ექსპერტებთან იქნეს განხილული ყოველგვარი უკანონობისა და რისკების გამოსარიცხად.

ანა გოგოლაძის პასუხად **მარიამ კვერნაძემ აღნიშნა**, რომ აღნიშნულ მიწის ნაკვეთს ადევს საცხოვრებელი ზონა -6 (სზ-6) და მიწის ნაკვეთს აქვს ე.წ „ბუფერული ზონა“. ინეტერსთა გამოხატვის პირობებშიც გათვალისწინებული იყო აღნიშნული ინფორმაცია და „TAS.GE“-ზეც არის აღნიშნული. ასევე დაცულია ბუფერის მანძილიც , ამიტომ ეს პრობლემად არ მიგვაჩნია. ქონების მართვის სააგენტომ წერილობით მიმართა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიციის გამოსახატად და მათი წერილობითი პოზიციით სააგენტოს შესაძლებლად მიაჩნია მითითებული მიწის ნაკვეთის განკარგვა (ს/კ: 01.11.12.006.301) აღნიშნული მიზნობრიობით – კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუსრულებლობით დაზარალებული პირების დაკმაყოფილება, შემდგომში განაშენიანების რეგულირების გეგმის (გრგ) დამუშავების გარეშე შემდეგი პარამეტრებით: მიწის ნაკვეთზე გავრცელდეს ფუნქციური ზონა - საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6); მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი (კ-2 – 3,2).

გარდა ამისა კომპანიას მშენებლობის სანებართვო პროცედურების გავლის დროს, მერიის არქიტექტურის სამსახური აუცილებლად მოსთხოვს გეოლოგიურ კვლევას. ასევე აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ აღნიშნული ინტერესთა გამოხატვის ფარგლებში, შპს "არტე დეველოპმენტის" მიერ წარმოდგენილი საინვესტიციო წინადადება, სააგენტოს მიერ განსაზღვრული სხვა პირებისთვის გადასაცემი სამშენებლო ფართი - 8800 კვ. მ ოდენობით (თეთრი კარკასის მდგომარეობით) - უპირატესი იყო სხვა დაინტერესებული სუბიექტის წარმოდგენილ წინადადებასთან მიმართებით. მიწის ნაკვეთის ადგილმონაცვლეობის შემთხვევაშიც ფართს არ ვკარგავთ.

ლევან ჟორჯოლიანის თქმით, ხშირ შემთხვევაში გეოლოგიური კვლევის პროცესების დროს გენ.გეგმაზე დატანებული კოლექტორები იქ ან არ აღმოჩნდება ან არის ოდნავ მოშორებით, ვინაიდან „ჯი ვი პი“ს არ აქვს 100 %იანი ინფორმაცია მათ განლაგებაზე. მაგრამ ჩვენ ვიწყებთ პროცესებს, არ ვაჩერებთ. თუ აღმოჩნდება, რომ გეოლოგიამ დასკვნა არ დადო, ამის შემდეგ საკითხი მიდის მიწის ნაკვეთის მონაცვლეობაზე. არქიტექტურის სამსახურმა შეიძლება რამოდენიმეჯერ მოსთხოვოს გეოლოგიის დასკვნა იმ შემთხვევაში თუ რაიმე შეუსაბამობა იქნება. გარდა ამისა კვლევებს კომპანია აკეთებს საკუთარი ხარჯით.

ირაკლი ხელაძის თქმით, რა მიდგომითაც ყველა შემთხვევაში ხდება მსგავსი ტიპის საკითხების განხილვა კომისიის ფარგლებში, წარმოდგენილი საკითხი პრობლემას არ წარმოადგენს და თუ სხვა რაიმე შეუსაბამობები გამოვლინდება სხვადასხვა ეტაპებზე, რა თქმა უნდა იქნება შესაბამისი გადაწყვეტილებები მიღებული.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე.

მომხრე- 7. წინააღმდეგი-ანა გოგოლაძე,საბა ბუაძე, მიხეილ კაკაურიძე.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და უმრავლესობით გადაწყვიტეს მიეცეს რეკომენდაცია საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლებსა და შპს „ენსი გრუპს“ (ს/კ: 405186365) შორის 2021 წლის 15 ივლისს გაფორმებული „ქ. თბილისში, დიდი დიდმის დასახლების მიმდებარედ არსებული, ჯამურად 8118 კვ.მ ფართობის, N01.10.06.002.064 და N01.10.06.002.065 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების (წინა საკადასტრო კოდი: ს/კ: N01.10.06.002.046) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანისა და ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დაკისრებისაგან შპს „ენსი გრუპის“ (ს/კ: 405186365) გათავისუფლების თაობაზე.

მარიამ კვინაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 28 აპრილის N21.540.582 და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 18 მაისის N191 განკარგულებების საფუძველზე განხორციელდა ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „ენსი გრუპისათვის“ (ს/ნ: 405186365) ქალაქ თბილისში, დიდი დიდმის დასახლების მიმდებარედ არსებული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.10.06.002.078 საკადასტრო კოდით (მიწის ნაკვეთ(ებ)ის ძველი საკადასტრო კოდები: N01.10.06.002.064 და ს/კ: N01.10.06.002.065) რეგისტრირებული, ჯამში 8118 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზება.

მომხსენებლის განმარტებით, ზემოაღნიშნული განკარგულებების საფუძველზე, 2021 წლის 15 ივლისს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლებსა და შპს „ენსი გრუპს“ შორის გაფორმდა „ქ. თბილისში, დიდი დიდმის დასახლების მიმდებარედ არსებული, ჯამურად 8118 კვ.მ ფართობის, N01.10.06.002.064 და N01.10.06.002.065 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც კოოპერატივის წევრებმა, ზემოთხსენებული განკარგულებების დანართით განსაზღვრული უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემის სანაცვლოდ, სრულად განაცხადეს უარი მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საბინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე. ხელშეკრულების საფუძველზე, სააგენტოსთვის/სააგენტოს მიერ განსაზღვრული სხვა პირ(ებ)ისათვის კოოპერატივის წევრებისთვის ჯამურად გადასაცემი ფართი (თეთრი კარკასის მდგომარეობით) განისაზღვრა – 6600 კვ. მ-ის ოდენობით, საიდანაც 600 კვ.მ საცხოვრებელი ფართი გადაეცემა სააგენტოს ან/და სააგენტოს მიერ განსაზღვრულ სხვა პირ(ებ)ს, ხოლო ჯამურად 6000 კვ.მ - კოოპერატივის წევრებს.

(ხელშეკრულების 3.3. პუნქტი) ხელშეკრულების მიხედვით, „კომპანია ვალდებულია შენობა-ნაგებობ(ებ)ის სრული არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის მოპოვება უზრუნველყოს ამ ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 9 (ცხრა) თვის ვადაში, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით. აღნიშნული ვადა არ მოიცავს ნებართვის გამცემი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ხარვეზების გამოსასწორებლად განსაზღვრულ ვადას.“ (ხელშეკრულების 3.6. პუნქტი) ხელშეკრულების 6.1.1. პუნქტის თანახმად, ინტერესთა გამოხატვაში წარდგენილი წინადადების, ამ ხელშეკრულების გაფორმების და ამ ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში შესაბამისი სამშენებლო ნებართვ(ებ)ის მოპოვების უზრუნველსაყოფად, კომპანიამ სააგენტოს სასარგებლოდ წარადგინა ჯამში 1 500 000 ლარის ოდენობის გამოუხმობადი და უპირობო საბანკო გარანტია. ამავე ხელშეკრულების 6.1.2. პუნქტის მიხედვით, იმ შემთხვევაში, თუ კომპანია დაარღვევდა ხელშეკრულების 6.1.1 ქვეპუნქტით განსაზღვრული

ვალდებულებების შესრულების ვადას, მას დაეკისრებოდა სააგენტოსთვის პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულება საბანკო გარანტიის ჯამური ოდენობის 0,1 %-ის ოდენობით (1 500 ლარით) ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

როგორც აღინიშნა, ხელშეკრულების მიხედვით, კომპანიას მშენებლობის ნებართვა უნდა მოეპოვებინა არაუგვიანეს 2022 წლის 15 აპრილისა, თუმცა, დღეის მდგომარეობით, კომპანიის მიერ აღნიშნული ვალდებულება შესრულებული არ არის. შესაბამისად, კომპანიას 2022 წლის 15 აპრილიდან ეკისრება პირგასამტეხლო, რაც დღევანდელი მდგომარეობით შეადგენს - 681 000 ლარს და იზრდება ყოველდღიურად 1500 ლარის ოდენობით. კომპანიამ 2023 წლის 26 ივნისს სააგენტოში წარმოადგინა განცხადება, რომლითაც მოითხოვა ხელშეკრულების საფუძველზე დაკისრებული პირგასამტეხლოს პატიება და ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა. კერძოდ, კომპანიამ მოითხოვა მშენებლობის ნებართვის მოპოვებისათვის განსაზღვრული ვადის განსაზღვრა არაუგვიანეს 2023 წლის 30 დეკემბრამდე ვადით. კომპანიის განმარტებით, ზემოაღნიშნული ვალდებულების შესრულება ვერ ხერხდება კომპანიისაგან დამოუკიდებელი რიგი ობიექტური მიზეზების გამო. კერძოდ, მნიშვნელოვანია, რომ ტერიტორიის ნაწილს თვითნებურად ფლობს რამდენიმე მოქალაქე: ნინო ქავშინაძე (პ/ნ: 01025015371) – 360 კვ. მ ფართობის მიწის ნაკვეთი; ვალია ზუბიაშვილი (პ/ნ: 01019007860) – 395 კვ. მ ფართობის მიწის ნაკვეთი; პავლე ნოზაძე (პ/ნ: 01024060250) – 1320 კვ. მ ფართობის მიწის ნაკვეთი და გომელი ურიდია (პ/ნ: 62001041015) – 407 კვ. მ ფართობის მიწის ნაკვეთი. აღნიშნულ მოქალაქეებს მითითებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე განთავსებული აქვთ სხვადასხვა ტიპის კონსტრუქციები, ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, რაც ცალსახად ხელშემშლელი ფაქტორია კომპანიისთვის სამშენებლო პროექტის განხორციელებისათვის საჭირო წინასაპროექტო/საპროექტო სამუშაოების წარმოების დროს. აღსანიშნავია, რომ ხსენებული პირების მიერ სხვადასხვა დროს მიმართულ იქნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან არსებული თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიისადმი, მათ მიერ დაკავებული/ ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთების საკუთრების აღიარების უფლების მოთხოვნით. თუმცა, აღიარების კომისიის მიერ მათ უარი ეთქვათ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. ამდენად, კომპანიის განმარტებით, ხსენებული პირების მხრიდან ადგილი აქვს ხელშემშლის ფაქტებს და კომპანიას არ მიეცა შესაძლებლობა დაეწყო პროექტირების პროცესი. ამასთან, ითხოვენ მშენებლობის ნებართვის მოპოვების ვადის განსაზღვრას 2023 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით.

ვინაიდან, მუნიციპალიტეტისთვის კოოპერატიული პროექტის მაქსიმალურად სწრაფად და ეფექტურად განხორციელება არსებითად მნიშვნელოვანი საკითხია, თბილისის მთავრობას მიზანშეწონილად მიაჩნია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლებსა და შპს „ენსი გრუპს“ (ს/კ: 405186365) შორის 2021 წლის 15 ივლისს გაფორმებული „ქ. თბილისში, დიდი დიდმის დასახლების მიმდებარედ არსებული, ჯამურად 8118 კვ.მ ფართობის, N01.10.06.002.064 და N01.10.06.002.065 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების (წინა საკადასტრო კოდი: ს/კ: N01.10.06.002.046) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დაკისრებისაგან შპს „ენსი გრუპის“ (ს/კ: 405186365) გათავისუფლება.

მომხრე- 7. თავი შეიკავა- ანა გოგოლაძემ, საბა ბუაძემ, მიხეილ კაკაურიძემ.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და უმრავლესობით გადაწყვიტეს მიეცეს რეკომენდაცია საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლებსა და შპს „მს ბილდერს“ (ს/ნ: 405427765) შორის 2022 წლის 31 მარტს გაფორმებული „ქ. თბილისში, ვაზისუბნის დასახლება, კვაჭანტირაძის ქუჩის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.17.10.001.186 საკადასტრო კოდით

რეგისტრირებული 2371 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულების საფუძველზე დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან შპს „მს ბილდერის“ (ს/ნ: 405427765) გათავისუფლების თაობაზე

მარიამ კვინაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 16 მარტის N22.340.377 და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 18 მარტის N92 განკარგულებების საფუძველზე, განხორციელდა ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული კომპანიისთვის - შპს „მს ბილდერისთვის“ (ს/ნ: 405427765) - ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში მდებარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.17.10.001.186 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 2371 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზება.

აღნიშნული განკარგულებების საფუძველზე, 2022 წლის 31 მარტს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და კომპანიას შორის გაფორმდა „ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.17.10.001.186 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული, 2371 კვ. მ ფართობის მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც ყოფილი კონკრეტული საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებმა/მათმა უფლებამონაცვლეებმა, ზემოხსენებული განკარგულებების დანართით განსაზღვრული უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემის სანაცვლოდ, სრულად განაცხადეს უარი მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საბინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე.

ხელშეკრულების საფუძველზე, კომპანიამ იკისრა რიგი ვალდებულებები, აღნიშნული ვალდებულებების შესრულების ვადის დარღვევა, კომპანიის მიერ გამოიწვია მათგან დამოუკიდებელმა და ობიექტურმა მიზეზებმა, კერძოდ: კომპანიამ სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს ს/კ: N01.17.10.001.186 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის თაობაზე მიმართა 2022 წლის 30 იანვრის AR1875206 განცხადებით, თუმცა, განცხადების განხილვა დასრულდა და თანხმობა გაცემულ იქნა სამსახურის 2022 წლის 30 მარტის №5871510 ბრძანებით. არქიტექტურული პროექტის შეთანხმების თაობაზე კომპანიის მიერ მიმართულ იქნა არქიტექტურის სამსახურისადმი 2022 წლის 13 ივლისის AR1911791 განცხადებით, თუმცა, პროექტის შეთანხმებაზე თანხმობა გაიცა არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 30 დეკემბრის N6272235 ბრძანებით. კომპანიის განმარტებით, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესაბამის ვადაში შეუსრულებლობა გამოწვეულ იქნა მიწის ნაკვეთზე გეოლოგიური და გეოფიზიკური შესაბამისი კვლევების ჩატარების საჭიროების გამო, ასევე, მიწის ნაკვეთზე კომპანიის მიერ მომზადდა დენდროლოგიური პროექტი. კომპანიის განმარტებით, შესაბამის უწყებებთან კომუნიკაციასა და მათგან თანხმობის მიღების პროცესს დასჭირდა საკმაოდ დიდი დრო, რამაც თავის მხრივ, ასახვა ჰპოვა პროექტის განხორციელების/შეთანხმების გეგმა-გრაფიკზეც. აგრეთვე, პრობლემური აღმოჩნდა ტერიტორიაზე რეგისტრირებული და დაურეგისტრირებელი მიწისქვეშა ხაზობრივი (ელ. გაყვანილობის კაბელი, წყალარინების ქსელი, ბუნებრივი აირის მილები და ა.შ) ნაგებობების საკითხიც, მათი რაოდენობისა და მასშტაბურობის გათვალისწინებით, რამაც კომპანიის განმარტებით ცალსახად მოახდინა სამშენებლო პროექტის დროში გაჭიანურება. გარდა ამისა, კომპანია აღნიშნავს, რომ პრობლემად იქცა აგრეთვე ტერიტორიის მომიჯნავედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე მცხოვრები პირებიც, კერძოდ სამშენებლო სამუშაოების წარმოებამ გამოიწვია ხსენებულ პირთა პროტესტი და აღნიშნულმაც მოახდინა ზეგავლენა სამუშაოების წარმოებაზე.

გარდა ამისა კომპანია განმარტავს რომ, სამშენებლო ნებართვის მოპოვების შემდეგ, ს/კ: N01.17.10.001.186 უძრავ ქონებაზე ე.წ. „განშლის“ რეგისტრაციის მოთხოვნით, მიმართულ იქნა 2023 წლის 15 ივნისს, თუმცა საჯარო რეესტრში ადმინისტრაციული საქმისწარმოება დასრულდა 2023 წლის 30 ივნისს. და ხელშეკრულების დანართით განსაზღვრულ 11 (თერთმეტი) პირზე ინდივიდუალურ საცხოვრებელ ფართებზე

საკუთრების უფლების დამადასტურებელი ამონაწერები მომზადდა 2023 წლის 10 ივლისს, ხოლო სააგენტოში წარმოდგენილ იქნა 2023 წლის 11 ივლისს.

მარიამ კვერნაძემ აღნიშნა, რომ რომ ხელშეკრულების 6.1.1. პუნქტის თანახმად, ინტერესთა გამოხატვაში წარდგენილი წინადადების, ამ ხელშეკრულების გაფორმების და ამ ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში ნაკისრი ვალდებულებების (კერძოდ, სამშენებლო ნებართვ(ებ)ის მოპოვების, ინდივიდუალურ საცხოვრებელ ფართებზე შესაბამის პირთა საკუთრების უფლების რეგისტრაციისა და ამ ვალდებულებების შესრულების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში შესასრულებელი ყველა სხვა ვალდებულების) შესრულების უზრუნველსაყოფად, კომპანიამ სააგენტოს სასარგებლოდ წარმოადგინა ჯამში 1 000 000 (ერთი მილიონი) ლარის ოდენობის უპირობო და გამოუხმობადი საბანკო გარანტია.

ამავე ხელშეკრულების 6.1.3. პუნქტის მიხედვით, „იმ შემთხვევაში, თუ კომპანია დაარღვევს საბანკო გარანტიით უზრუნველყოფილი ვალდებულებების შესრულების ვადას, მას დაეკისრება სააგენტოსთვის პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულება ხელშეკრულების 6.1.1. ქვეპუნქტში მითითებული საბანკო გარანტიის ჯამური ოდენობის 0,1 %-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.“

ვინაიდან სამშენებლო ნებართვის მოპოვებისათვის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის ბოლო დღიდან (2022 წლის 1 ოქტომბრიდან) სამშენებლო ნებართვის ფაქტობრივად მიღებამდე (2023 წლის 25 იანვრამდე) გასულია 116 (ას თექვსმეტი) დღე, პირგასამტეხლოს ოდენობაა 116 000 (ას თექვსმეტი ათასი) ლარი. ამასთანავე, ხელშეკრულების შესაბამისად, სამშენებლო ნებართვ(ებ)ის საფუძველზე კომპანიას ინდივიდუალური საცხოვრებელი ფართების რეგისტრაციის (ე.წ. „განშლა“) გზით, შესაბამის ფართებზე კოოპერატივის წევრების საკუთრების უფლების რეგისტრაცია უნდა განხორციელდებინა შესაბამისი მშენებლობის ნებართვ(ებ)ის მოპოვებიდან, მოცემულ შემთხვევაში, 2023 წლის 26 იანვრიდან - არაუგვიანეს 2 (ორი) თვის ვადაში ანუ არაუგვიანეს 2023 წლის 25 მარტის ჩათვლით. შესაბამისად, 2023 წლის 26 მარტიდან 2023 წლის 10 ივლისამდე გასულია 106 (ას ექვსი) დღე, რისთვისაც კომპანიისთვის დასაკისრებელი პირგასამტეხლოს ოდენობა შეადგენს 106 (ას ექვსი ათასი) ლარს, შესაბამისად, ორივე ვალდებულების დარღვევისთვის დასაკისრებელი პირგასამტეხლოს ოდენობა განისაზღვრება ჯამურად - 222 000 (ორას ოცდაორი ათასი) ლარით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ 2023 წლის 19 ივლისის №23.1069.1194 განკარგულებით, მიზანშეწონილად მიიჩნია ხელშეკრულების 3.1. და 3.4 პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის გამო, ამავე ხელშეკრულების 6.1.3. პუნქტის შესაბამისად დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან, შპს „მს ბილდერის“ (ს/ნ: 405427765) გათავისუფლება.

მომხრე- 8. თავი შეიკავა- ანა გოგოლაძემ, მიხეილ კაკაურიძემ.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და უმრავლესობით გადაწყვიტეს მიეცეს რეკომენდაცია საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს მიერ პირობებით გამოცხადებული აუქციონის შედეგად 2018 წლის 18 ოქტომბერს გაფორმებული №ე-428-3-22738 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის გაუქმების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

მარიამ კვერნაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და ნიკა გილაურს (პ/ნ 01024005566“) შორის, 2018 წლის 18 ოქტომბერს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის ხელშეკრულების საფუძველზე, მყიდველს აუქციონის წესით, საკუთრებაში გადაეცა ქ. თბილისში, სოფელ წავკისში მდებარე 368 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (ს/კ 81.02.18.689). ქონების განკარგვა განხორციელდა შემდეგი პირობით - „მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარება განხორციელდეს ჩარჩო გეგმის ფარგლებში“ და შეზღუდვით - „დარეგისტრირებული კონფიგურაციით მშენებლობის უფლების გარეშე“.

2019 წელს განხორციელდა №81.02.18.689 და №81.02.18.701 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების გაერთიანება, რის შედეგადაც, უძრავ ქონებას მიენიჭა ახალი საკადასტრო კოდი -

№81.02.18.775. და №81.02.18.689 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ 368 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე მოიხსნა შეზღუდვა- „დარეგისტრირებული კონფიგურაციით მშენებლობის უფლების გარეშე“.

მყიდველის წარმომადგენელმა 2023 წლის 25 მაისის განცხადებით მიმართა სააგენტოს და მოითხოვა №81.02.18.689 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე (დღევანდელი მდგომარეობით, ს/კ: 81.02.18.775) არსებული პირობის - „მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარება განხორციელდეს ჩარჩო გეგმის ფარგლებში“ - გაუქმება, ვინაიდან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის 2023 წლის 11 აპრილის ბრძანების საფუძველზე, №81.02.18.775 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე არსებული მშენებლობა დამთავრებული ობიექტი (ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი - III კლასი) მიღებულ იქნა ექსპლუატაციაში.

სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ შესაძლებლად მიიჩნია №81.02.18.689 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე (დღევანდელი მდგომარეობით, ს/კ: 81.02.18.775) არსებული პირობის - „მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარება განხორციელდეს ჩარჩო გეგმის ფარგლებში“ გაუქმება.

სააგენტომ წერილით მიმართა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს და მოითხოვა დასკვნა, რომელიც ასახავს მყიდველის მიერ აუქციონზე შეძენილი №81.02.18.689 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის (დღევანდელი მდგომარეობით, №81.02.18.775) სრულ საპრივატიზებო ღირებულებას (34 114 ლარი) და აუქციონის დროისთვის, ამავე მიწის ნაკვეთზე პირობის - „მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარება განხორციელდეს ჩარჩო გეგმის ფარგლებში“ გარეშე დადგენილ ღირებულებებს შორის სხვაობას, მოცემული დღევანდელი მდგომარეობით. ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2023 წლის 7 ივლისის წერილის თანახმად, მიწის ნაკვეთის აუქციონის წესით განკარგვისას, ქონების მთლიან საბაზრო ღირებულებაში/საწყის საპრივატიზებო საფასურში არ იყო გათვალისწინებული პირობა - „მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარება განხორციელდეს ჩარჩო გეგმის ფარგლებში“.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია ს 2018 წლის 18 ოქტომბერს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-428-3-22738 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის - „მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარება განხორციელდეს ჩარჩო გეგმის ფარგლებში“ - გაუქმება.

მომხრე- 8. თავი შეიკავა- ანა გოგოლაძემ, მიხეილ კაკაურიძემ.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და უმრავლესობით გადაწყვიტეს მიეცეს რეკომენდაცია საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე



ირაკლი ხელაძე